დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის
ბრძანება

ბრძანება:**ბ109.109220382**

თარიღი:**07/02/2022**

დმანისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის საჯაროდ განსახილველად გამოქვეყნების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' 61-ე მუხლის მე-3-ე პუნქტის ,,გ'' ქვეპუნქტის, 85^1-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ე'' ქვეპუნქტისა და დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 90 -ე მუხლის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

1. დმანისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების ანგარიში საჯაროდ განსახილველად გამოქვეყნდეს (თანდართული დანართები) დმანისის მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე - www. dmanisi.gov.ge.

2. დმანისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების ანგარიში განსახილველად გადაეცეს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას. დოკუმენტთან დაკავშირებული კითხვებისა და მოსაზრებების წარდგენა შესაძლებელია 2022 წლის 1 აპრილამდე, მისამართზე: ქ. დმანისი, წმ. ნინოს ქ.№41, საკრებულოს აპარატი (ტელ: 577 33 39 25).

3. საკრებულო საზოგადოებრივ დარბაზთან ერთად ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის განხილვას იწყებს ანგარიშის გამოქვეყნებიდან არა უადრეს ორი კვირისა.

4. დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, მიიღოს გადაწყვეტილება არაუგვიანეს 2022 წლის 1 მაისისა, 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების ან დაუმტკიცებლობის შესახებ.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (ქ.ბოლნისი, სულხან საბას ქ. N113).

პაატა ყულიაშვილი

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი